სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2010 წლის ანგარიში

1. ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები 2

2. განათლების ხარისხის განვითარების გარე მექანიზმების დახვეწა 3

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო 4

4. პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა 5

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია 6

6. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწყება 6

7. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა 7

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშები 7

9. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია 8

10. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობა 8

11. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და მიღებული განათლების აღიარება 8

12. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი 9

13. მობილობა 10

14. საერთაშორისო თანამშრომლობა 11

15. სამიტები 11

16. კვლევები 11

17. კორესპონდენცია 12

18. ფინანსური ანგარიში 12

1. ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები

2010 წლის 1 სექტემბერს ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ˜ საქართველოს კანონით ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ცენტრი), რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლეა.

უცვლელი დარჩა ცენტრის მისია: ცენტრი საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ზრუნავს განათლების ხარისხზე, მის მუდმივ გაუმჯობესებასა და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე.

ცენტრის მიზანია განათლების ხარისხის განსავითარებლად:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

გ) მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

დ) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება;

ე) საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მინიჭებული კვალიფიკაციების დასაქმების ბაზართან კავშირის უზრუნველყოფა;

ვ) მიღებული განათლების სწავლის შედეგების მნიშვნელობისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან მათი შესაბამისობის შეფასება;

ზ) ქართული ენის განვითარებისა და ერთიანი სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ამ მიზნების მისაღწევად, ცენტრი:

ა) ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, აკონტროლებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პირობების შესრულებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;

ბ) ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას;

გ) თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებითა და მათი საქმიანობის კოორდინაციით უზრუნველყოფს დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, დამტკიცებასა და შემდგომ სრულყოფას;

დ) გასწევს კონსულტაციებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, აწყობს სამიტებს, ტრენინგებს, სემინარებს, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს;

ე) ახდენს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, მათ შორის, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას;

ვ) ახდენს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას;

ზ) აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს;

თ) ხელს უწყობს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების პროცესს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას;

ი) ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილ დაწესებულებაში განათლება მიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, ასევე ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების განათლების აღიარებას;

კ) ხელშეკრულების საფუძველზე გასწევს ქართული ენის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ქმნის სამუშაო ჯგუფებს და გამოსცემს ერთიანი სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ყოველწლიურ ბიულეტენს;

ლ) თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან, მონაწილეობს ამ ორგანიზაციების საქმიანობაში;

მ) გასცემს თანხმობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულების მიერ წარდგენილი სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობის თაობაზე;

ნ) უზრუნველყოფს ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭირვალობას;

ო) ეწევა საგამომცემლო საქმიანობას;

პ) ახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;

ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. განათლების ხარისხის განვითარების გარე მექანიზმების დახვეწა

2010 წლის 21 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით შემოღებულ იქნა ავტორიზაციის ინსტიტუტი ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად და განისაზღვრა აკრედიტაციის ერთიანი პრინციპი. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება მანამდე ექვემდებარებოდა ლიცენზირებას და ინსტიტუციურ აკრედიტაციას. ლიცენზირებას - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას - სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებდა. ლიცენზირება დიდწილად თვლადი ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეფუძნებოდა, ხოლო პროგრამული აკრედიტაცია (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) არ ხორციელდებოდა.

ერთი ფანჯრის პრინციპისა და თვლადი სტანდარტების ხარისხობრივ-შინაარსობრივი სტანდარტებით ჩანაცვლების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით განხორციელებული ცვლილებებით, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აღარ მოუწევს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროგრამის განსახორციელებლად და

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გასაცემად ორი განსხვავებული – ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის – პროცედურის ორ სხვადასხვა დაწესებულებაში გავლა. სტატუსის მაძიებელი დაწესებულება თავად განსაზღვრავს თავის მისიას საგანმანათლებლო სივრცეში, მის მიერ განსახორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს ამ პროგრამის განსახორციელებლად არსებული რესურსის თვითშეფასებას. გარე შეფასება ემყარება თვითშეფასებაში მითითებული გარემოებების სისწორის დადასტურებას, რასაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და თავად სტატუსის მაძიებელი დაწესებულების პოზიციების მოსმენის საფუძველზე, საჯარო სხდომაზე ახორციელებს.

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციის სტანდარტებია: საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსი და მატერიალური რესურსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განისაზღვრა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

აკრედიტაცია ადგენს აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. აკრედიტაციის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაცია ნებაყოფლობითია და სწავლების მაღალ დონეს ადასტურებს. აკრედიტაციას უკავშირდება სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემა, ასევე, რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, ლიბერალური განათლებისა და ქართული ენის, აგრეთვე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

აკრედიტაცია ხორციელდება შემდეგ სტანდარტებზე დაყრდნობით:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავებაში, რომელიც 2010 წლის 10 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 120/ნ ბრძანებით.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აღწერს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას, არსებულ კვალიფიკაციებსა და ცხადყოფს მათ ურთიერთკავშირს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე მოიცავს ქვეყანაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების სრულ ჩამონათვალს.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავებას წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები თითოეული მიმართულების მიხედვით, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. დაინტერესებულ პირებს აგრეთვე შესაძლებლობა ჰქონდათ, წერილობით მოეწოდებინათ ცენტრისთვის თავიანთი მოსაზრებები. ცენტრში ასობით წერილი შემოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით, თითოეული წერილი დეტალურად იქნა განხილული, მოწოდებული წინადადებები კი - შეჯერებული და გათვალისწინებული.

4. პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა

,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შეიქმნა ხუთსაფეხურიანი პროფესიული განათლების უწყვეტი სვეტი, რომელიც აკადემიური განათლების პარალელურად იარსებებს და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უზრუნველყოფს. შესაბამისი საფეხურის პროფესიული განათლება განისაზღვრება სწავლის შედეგების მიხედვით და ცალკეული დარგის წარმომადგენლები თავად განსაზღვრავენ პროფესიულ სტანდარტში თითოეული პროფესიის მოთხოვნების შესაბამისობას კონკრეტულ სწავლის შედეგებთან.

კანონი ითვალისწინებს საზოგადოებრივი კოლეჯების სისტემის შემოღებას. საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ხუთივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს:

- მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა და
- ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც შეთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნებით, ისე რეგიონული დაფარვით. პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების სისტემის განვითარებაში, ასევე შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებაში საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ორგანოები, კონკრეტულ სფეროსა თუ რეგიონში წარმოდგენილი დამსაქმებლები, რაც საგანმანათლებლო პროგრამების დასაქმების ბაზართან მაქსიმალურ მიახლოებას უზრუნველყოფს.

გამარტივდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, კერძოდ, გაუქმდა მასწავლებელთა სერტიფიცირება. უშუალოდ პროფესიული სტანდარტით განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. პროფესიული სტანდარტით აგრეთვე განისაზღვრება ცალკეული პროფესიის არსი და მისი საფეხურები, შესაბამისი საფეხურისათვის აუცილებელი სწავლის შედეგები, დასაქმების სფერო, ასევე დგინდება დამატებითი პირობები ცალკეული პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, ცენტრის ხელშეწყობით, შეიქმნა და საქმიანობას ახორციელებდა პროფესიული სტანდარტების სამუშაო ჯგუფები თითოეული მიმართულების მიხედვით. სამუშაო ჯგუფებების საქმიანობაში მონაწილეობდნენ დარგობრივი სფეროების, პროფესიული ასოციაციების, დამსაქმებელი ორგანიზაციების, პროფესიული სასწავლებლების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. შემუშავებული სტანდარტების პროექტები სისტემატურად ქვეყნდებოდა ცენტრის ვებ-გვერდზე, შემოსული გამოხმაურებების საფუძველზე მიმდინარეობდა პროექტების შემდგომი დახვეწა. 2010 წელს ცენტრმა 107 პროფესიული სტანდარტი დაამტკიცა.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია

2010 წლის 21 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, ანუ ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღებამდე, ცენტრი ახორციელებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ აკრედიტაციას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის N1030 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მომზადდა და ცენტრის დირექტორის 2010 წლის 24 მაისის № 51 ბრძანებით დამტკიცდა ინსტიტუციური აკრედიტაციის რეკომენდაციები.

2010 წელს ინსტიტუციურ აკრედიტაციაზე განაცხადი გააკეთა 13-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მაძიებლად ცნობილი იქნა და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა 12 დაწესებულება. ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭა 2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ერთმა დაწესებულებამ უარი განაცხადა აკრედიტაციის პროცესის განხორციელებაზე.

2010 წელს ინსტიტუციური აკრედიტაცია გაუუქმდა 2 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

2010 წელს აკრედიტაციასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე 2 დავიდან ერთი განუხილველად დარჩა სარჩელის გამოხმობის გამო, ხოლო მეორეზე გადაწყვეტილება ცენტრის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი.

6. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწყება

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დამტკიცებას წინ უძღოდა დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტის ფართო შინაარსობრივი განხილვა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტი დამტკიცდა სრული კონსენსუსით.

ცენტრის დირექტორის 2010 წლის 5 ოქტომბრის №94 ბრძანებით დამტკიცდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმები.

2010 წელს ავტორიზაციაზე განაცხადი გააკეთა 11-მა დაწესებულებამ, მათგან ერთმა დაწესებულებამ უნივერსიტეტის, 2-მა სასწავლო უნივერსიტეტის, 2-მა კოლეჯის, 2-მა საზოგადოებრივი კოლეჯის, ერთმა პროფესიული კოლეჯის, სამმა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

ავტორიზაციის მაძიებლად ცნობილ იქნა 10 დაწესებულება. 2010 წლის ბოლოს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა 6 დაწესებულება. ავტორიზაცია მიენიჭა სამ დაწესებულებას, მათგან ერთ სასწავლო უნივერსიტეტს, ერთ კოლეჯს, ერთ პროფესიულ კოლეჯს. ავტორიზაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა ერთ დაწესებულებას. ხოლო დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდა ორი დაწესებულების განაცხადის განხვილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. ოთხი დაწესებულების მიმართ საქმის წარმოება გაგრძელდება 2011 წელს.

7. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა

2010 წელს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი გააკეთა 18-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (მათ შორის, ერთმა დაწესებულებამ ორჯერ), მათგან ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვრა 16 დაწესებულებას. ერთმა დაწესებულებამ შემდგომ უარი განაცხადა პროცესის განხორციელებაზე, ხოლო ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი კონტინგენტის გაზრდის თაობაზე განუხილველად იქნა დატოვებული, ვინაიდან დაწესებულებამ არ გამოასწორა განაცხადში არსებული ხარვეზი.

2010 წელს რეორგანიზაციის გამო სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ხელახლა განესაზღვრა სამ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშები

ცენტრის დირექტორის 2010 წლის 6 აპრილის № 26 ბრძანებით დამტკიცდა აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმა.

2010 წელს 71 აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინა 67-მა. შესაბამისად, აკრედიტებული 71-დან 3 დაწესებულებაზე მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება ინსტიტუციური აკრედიტაციის განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით, ხოლო ერთი დაწესებულება, ცენტრში გამოგზავნილი წერილის შესაბამისად, აღარ ახოციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა მიერ გადამოწმდა 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ავტორიზაცია გაუუქმდა ოთხ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ერთი დაწესებულების მიმართ საქმის წარმოება გრძელდება.

71 აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 2010 წლის თვითშეფასების ანაგარიშის წარმოდგენამდე საქმიანობას ახორციელებდა 44 უნივერსიტეტი, 16 სასწავლო უნივერსიტეტი და 11 კოლეჯი.

2010 წლის ბოლოსათვის, ავტორიზაციისა და თვითშეფასების ანგარიშის გადამოწმების შედეგად, საქმიანობას ახორციელებს: 25 უნივერსიტეტი, 28 სასწავლო უნივერსიტეტი, 11 - კოლეჯი.

9. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის N1102 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული წესით, 2010 წელს განხორციელდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. განაცხადი გააკეთა 7-მა იურიდიულმა პირმა და ერთმა ინდივიდუალურმა მეწარმემ 17 საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის ერთმა იურიდიულმა პირმა ორჯერ მომართა ცენტრს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების მიზნით. აქედან აკრედიტაცია მიენიჭა 10 საგანმანათლებლო პროგრამას, ერთი იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ ორ პროგრამაზე საბჭოს გადაწყვეტილება იყო უარყოფითი, ხოლო 3 იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 5 პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების პროცედურა გრძელდება.

სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 17 თებერვლის №11 „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნის შესახებ განაცხადი გააკეთა 40-მა პირმა, აქედან საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე 23 კანდიდატი შერჩეულ იქნა მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტის პოზიციაზე.

10. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან შესაბამისობა

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 5 მაისის №129 დადგენილებით დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრს მიმართა 47-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელთაც შესაბამისობა დაუდგინდათ 307 პროგრამაზე.

11. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და მიღებული განათლების აღიარება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და საფასურები, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებისთვის ამ მომსახურების გაწევა უფრო სწრაფი და გამარტივებული გზით გახდა შესაძლებელი.

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ლეგალიზაციისას ან აპოსტილით დამოწმებისას დასტურდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების, ასევე საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმომწერი პირის უფლებამოსილება და ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობა.

ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებას, ასევე ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებებში განათლებამიღებული იმ პირების განათლების აღიარების პროცედურას, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას.

ავტორიზაციის ინსტიტუტის შემოღების პარალელურად მოხდა იმ პროგრამების სწავლის შედეგების აღიარებისათვის სამართლებრივი მექანიზმის შემოღება, რომლებიც განხორციელებული იქნა ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რამაც ამ დაწესებულებების პროგრამებზე ჩარიცხულ პირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისა და სწავლის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში გაგრძელების საშუალება მისცა.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების კუთხით ცენტრი ახორციელებს დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებასა და კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენას. ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს, გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში, და არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, ხოლო შესაბამისობის დადგენისას - უცხოეთში არსებული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან. ამ მიმართულებით, „თვინინგ-სეიბალის“ პროექტის მე-5 კომპონენტის ფარგლებში შემუშავდა „აღიარების სახელმძღვანელო“, რომლის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბდება და ლისაბონის კონვენციასთან და თანმხლებ დოკუმენტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით 2010 წელს ცენტრში შემოვიდა 3 000-მდე განცხადება 42 ქვეყანაში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების შესახებ. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, აშშ, ბელარუსი, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ინდოეთი, ირანი, ისრაელი, იტალია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, ნეპალი, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სომხეთი, ტრინიდადი და ტობაგო, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვედეთი, შვეიცარია, შრი-ლანკა, ჩინეთი.

მათ შორის, ინდოეთის რესპუბლიკაში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტები არის 19%, რუსეთის ფედერაციაში - 14%, აზერბაიჯანში - 7%, თურქეთის რესპუბლიკაში - 5%.

12. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი განიცდის პერმანენტულ განახლებასა და დახვეწას. 2009 წელს სტუდენტთა რეესტრის პარალელურად შეიქმნა პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრი, 2010 წელს დაიწყო მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების

რეესტრის ფორმირებაზე. რეესტრების გაერთიანების შედეგად შეიქმნება ერთიანი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი. აღნიშნული პროექტი დასრულდება 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებამდე.

ამჟამად რეესტრში ასახულია ინფორმაცია დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის (5713 პროფესორ-მასწავლებელი) და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ (92313 მოქმედი სტუდენტი).

2010 წლის ბოლოსთვის შეიქმნა არაფორმალური განათლების მქონე (ყოფილი ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ) პირთა რეესტრი, სადაც დარეგისტრირებულ იქნა 108 დაწესებულების 20000-ზე მეტი სტუდენტი.

13. მობილობა

მობილობის პროცესის კანონიერად განხორციელების ადმინისტრირებას ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, მობილობის მსურველთა განაცხადების ფილტრაციით, რაც გამორიცხავს მობილობის პროცესში იმ პირთა ჩართვას, ვისაც კანონმდებლობით არ გააჩნიათ მობილობის უფლება.

2010 წელს კიდევ უფრო დაიხვეწა მობილობის ელექტრონული პორტალი, რომელიც ასახავს ყველა საჭირო ინფორმაციას მობილობის პროცესში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი ვაკანსიებისა და მობილობის კანდიდატების ჩარიცხვის შესაძლებლობების თაობაზე.

მობილობის ელეტრონული პორტალით 2010 წლის განმავლობაში 7000-ზე მეტმა სტუდენტმა ისარგებლა.

14. საერთაშორისო თანამშრომლობა

ცენტრი გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასა (ENQA) და ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრთან - (EQAR) თანამშრომლობის გაღრმავებას და შემდგომ მათში გაწევრიანების მიზანშეწონილობის განხილვას, რათა გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული განზომილების სრულფასოვანი წევრი და კიდევ უფრო გაზარდოს მისდამი ნდობა განათლების ევროპულ სივრცეში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფას და აკრედიტაციის გადაწყვეტილებათა ორმხრივ აღიარებას.

2010 წლის ივლისში ევროგაერთიანების პროგრამის - „ტემპუსის“ ფარგლებში დამტკიცდა პროექტი - „ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია საქართველოსა და სომხეთში ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის განვითარება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება. სამწლიანი პროექტის მონაწილე ქვეყნებია საქართველო, სომხეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და გერმანია.

ცენტრი განაგრძობს მუშაობას ევროკავშირის პროექტის საჯარო სამსახურების დაძმობილების „თვინინგ-სეიბალის“ პროექტის ფარგლებში. პროექტი დაიწყო 2009 წლის ივნისში. პროექტის მიზანია, გაზარდოს საქართველოში არსებული საგანმანათლებლო ინსტიტუტების შესაძლებლობები ბოლონიის პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული რეფორმების განსახორციელებლად.

15. სამიტები

2010 წელს ცენტრის ინიციატივით გაიმართა 11 აკადემიური, 2 პროფესიული და 1 ზოგადსაგანმანათლებლო სამიტი. გაიმართა ასევე 11 რეგიონული სამიტი როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის, თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტებში. აკადემიურ სამიტებზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, საგანმანათლებლო მიმართულებების კლასიფიკატორისა და დარგობრივი სტანდარტების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სესაბამისი სფეროს წარმომადგენლები იღებდნენ. პროფესიულ სამიტებზე პროფესიული სწავლების ცენტრებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების მიერ განიხილებოდა პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის აქტუალური საკითხები, როგორიცაა პროფესიული განათლების საფეხურების სწავლის შედეგები და პროფესიული განათლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების გზები. რამდენიმე სამიტი მიეძღვნა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხს. ზოგადსაგანმანათლებლო სამიტის თემა იყო მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა.

2010 წლის 30 დეკემბერს საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა შემაჯამებელი აკადემიური სამიტი, რომელზეც ცენტრმა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს და ფართო საზოგადოებას 2010 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შედეგები გააცნო და მათგან მოისმინა რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ცენტრის სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისათვის.

16. კვლევები

2010 წელს ცენტრის მიერ განხორციელდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტების მიერ შემთავაზებული საბაკალავრო პროგრამებისა და ამ საბაკალავრო პროგრამებზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის ურთიერთშესაბამისობის ანალიზი. ანალიზმა ცხადყო, რომ ქვეყანაში საბაკალავრო პროგრამებზე ყველაზე მაღალია შეთავაზება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. შემდეგ მოდის ჰუმანიტარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების და სამართლის მიმართულებები. ბიზნეს - ადმინისტრირების მიმართულების პროგრამების შემოთავაზება წელს 2%-ით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. ასევე გაიზარდა შეთავაზება საინჟინრო მიმართულების პროგრამებზე, საბუნებისმეტყველო მიმართულებაზე თითქმის უცვლელი დარჩა, ხოლო აგრარულ მიმართულებების პროგრამების რაოდენობა პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუმცა მცირედით შემცირდა ამ პროგრამებზე მისაღების ადგილების რაოდენობა. პროგრამებზე მისაღები ადგილების შემოთავაზების პროცენტული მაჩვენებელი დარგობრივი მიმართულებების მიხედვით საქართველოში პრაქტიკულად შესაბამისობაშია ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების (OECD) ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან, თუმცა ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში საინჟინრო,

საბუნებისმეტყველო და აგრარული მიმართულებების პროგრამებზე მოთხოვნა ნაკლებია, ანუ არსებითად არ არის კონკურსი.

17. კორესპონდენცია

2010 წლის განმავლობაში ცენტრში სულ შემოვიდა 9205 წერილი, მათ შორის 5888 - იურიდიული პირებისაგან, 3317 - მოქალაქეებისაგან. გასული წერილების რაოდენობა იყო 6829.

18. ფინანსური ანგარიში

2010 წლისათვის ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 1199610 ლარის ოდენობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმდა ცენტრის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი 42 ერთეულით.

ცენტრის მიერ 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა 1159048.94 ლარი, მათ შორის:

1	შრომის ანაზღაურება	644 873.13 ლარი
2	საქონელი და მომსახურება	317 866.57 ლარი
3	სოციალური უზრუნველყოფა	0.00 ლარი
4	სხვა ხარჯები	1 327.17 ლარი
5	არაფინანსური აქტივების ზრდა	194 982.07 ლარი

ცენტრის ძირითად არასაბიუჯეტო შემოსავლებს წარმოადგენს ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური, მათ შორის, აკრედიტაციის და ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გადახდილი საფასური.

ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის სახით გადახდილი თანხებიდან 2010 წლის დასაწყისისათვის ფაქტობრივმა ნაშთმა შეადგინა 139 021 ლარი. წლის განმავლობაში დამატებით საკუთარი შემოსავლები განისაზღვრა 261 784 ლარის ოდენობით. აქედან 2010 წელს მოწვეული სპეციალისტებისა და აკრედიტაციის ექსპერტების შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებებსა და სხვა ხარჯებზე გაცემულია 224 704 ლარი, მათ შორის:

1	საქონელი და მომსახურება	165 516 ლარი
2	სხვა ხარჯები	8 001 ლარი
3	არაფინანსური აქტივების ზრდა	51 187 ლარი